

გაზეთის ღირებულება:

გაზეთის ღირებულება:
 და გარეშე ადგილებში: — — — 6 მან.
 ქრისტიანული — 7 მან.
 ნაბეჭდი წიგნი — 4 — — — 3 — 50 კ.
 სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
 ცალკე ერთი ნომრის გაუგზავნელათ — 3 შაური.
 „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხალის-მოწერა მიიღება: **ქრისტიანული**

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-
 შვილის და კამ, სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეჭდვის სა-
 ლში.
 თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ
 конторѣ редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება
 სხვა და სხვა ენაზე. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებ-
 ზრივის ასობით გაზეთის სტრიქონზე 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიბერატორო გაზეთი.

განცხადება.

20 ივლისიდან მელიქიშვილის და კამ.
 სტამბა და „დროების“ რედაქცია იმყოფება
 ხანის ქუჩაზე, თავ. მიხეილ ბეჭდვის სა-
 ლებში.

რედაქციისათვის.

ხელის-მოწერა „დროებაში“ ყოველთ-
 ვის მიიღება. ამ გაზეთის დაბრუნება შეიძლება
 პირადად ან ნებართვით.

რედაქცია უმოკლესად სთხოვს „დრო-
 ბის“ ხელის-მოწერას, რომელთაც გაზე-
 თის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ
 ეს ფული.

შინაარსი: მმართველობის განკარგულება.
 პოლიტიკა: — შინაარსი. — მსხვერპლი. ტელეგრაფი-
 მები. სალიტერატურო ნაწილი: — მუშა ხალხის
 ქალის და ოჯახის მდგომარეობა მკითხველის წინა სახელ-
 მწიფოებში. პასუხი პედაგოგიკის სტატიაზე. მმართველობის
 ტელეგრაფი. სახელმწიფო
 ბანკის განცხადება. დამატება: — პირველი შინა-
 განის სხვის ტიპი.

მმართველობის განკარგულება.

მაგასიაში მართლმადიდებელი, სარწმუნო-
 ბის აღმადგინებელი საზოგადოების რჩევა გა-
 მოცხადებს, რომ ალექსანდრიის მასწავლებ-
 ლების მოსამზადებელ სასწავლებელში მოწა-
 ფეების მიღება შეიძლება ამ წლის 1 სექტემ-
 ბრამდინ. მისაც სურს, რომ აღიზარდოს სა-
 ზოგადოების ხარჯზე, იმან უნდა მისცეს
 თხოვნა საზოგადოების რჩევას, და ვინც თა-
 ვისის ხარჯით ისურვებს — ის თხოვნას დირე-
 კტორს, ნადვარს სოცეტის ნიკოლოზ პე-
 ტრეს ძეს უხანაგოს მისცემს. ამ სასწავლებელ-
 ში მიიღებიან ემწიფეები, რომელთაც 16
 წელიწადზე ნაკლები ხანი არა აქვს და
 რომელთაც იციან: 1) შემოკლებული კატე-
 ხისმო და სამართო ისტორია, 2) წერა და
 კითხვა რუსულად, 3) წერა და კითხვა სამ-
 შობლო ენაზე, 4) ოთხი არითმეტიკის პირ-
 ველი მოქმედება. შასი, ვინც დღე და ღამ
 სასწავლებელში დარჩება თავის ხარჯზე —
 150 მან. და კიდევ 30 მან. პირველ შესვლა-
 ზედ მოწაფის სხვა და სხვა საჭირო
 ნივთების შესამზადებლად. მინც გარედან ივ-
 ლის იმას გამოერთმევა წელიწადში 15 მან.

პოლიტიკა.

შინაარსი. შინაარსის სჯულის დამდებ
 კრებაში 9 ივლისს უფ. შულ შაბრმა სთ-
 ქვა შემდგომი სიტყვა: ღირსად-პატივცემულ-
 მა და წარჩინებულმა ჩემმა ამხანაგმა უფ. ტი-
 გრმა, როდესაც კარგათ-გაშინჯა მხეიკის ექს-
 პლიტა, მართებლობის შეცდომილება მიაწე-
 რა იმას, რომ ჩვენს სახელმწიფოში მართებ-
 ლობითი კონტროლი არ არის. მეტი ამას ვი-
 ტყვი, — და ჩემი აზრის დასამტკიცებლად
 ფაქტებიც შემოიღიან მოვიყვანო, — რომ იმ
 პირთ სიმტყუენე, რომელნიც მართებლობის
 საქმეებზე სხედან, მართო კონტროლის დაუ-
 წესებლობა არ არის. ჩვენ შეგვიძლიან გავამ-
 ტყუენოთ ისინი სხვა უფრო ღირს საქმეებში.
 მართებლობამ პალატას მიუწოდა მაშინ, რო-

დესაც მხეიკის ექსპლიტა დაწყობილიც ჰქო-
 ნდა იმას და როდესაც იმისი დაშლა ძნელია
 იყო. მართებლობამ უნდა იკისროს საყვედუ-
 რი იმაზე, რომ იმან პალატას საქმე სწორეთ
 არ შეატყობინა და ისრე დაითანახმა. (ხმაუ-
 რობა). იმან დამალა ის განზრახვა, რომლის
 აღსრულებაც ჩუმათ ეწადა. (ხმაურობა რო-
 მელიმე სკამებიდან. წინააღმდეგი პასუხის მი-
 ცემა. ძრიელ კარგი! სხვა სკამებიდან). სიმ-
 ტყუენე ამ შემთხვევაში ფრიად ცხადი იყო
 და ამისთვის ის ჩვენ ეხლაც იხეც კარგათ
 გეახსოვს. საქმე შესდგა იმაზე, რომ ჩვენ უნდა
 მიგვეცა შემწეობა ჩვენი თანამემამულეებისთ-
 ვის, რომლებიც მხეიკაში მოატყუილდნ. მართ-
 ებლობამკი, თუმცა იმანაც მიზეზათ ეს მოიღო,
 შემწეობა სხვას მისცა. იმან გაგზავნა ჩვენი
 ხომალდები მხეიკის სამძღვრებზე. რას ამბო-
 ზდა მაშინ ოპოზიცია? ის არ ეწინააღმდეგე-
 ბოდა მართებლობას იმაზე, რომ იმას უფ-
 ლება და ვალი აქვს სდევნოს ბოროტის მო-
 ქმედობა. მაგრამ ეს არ უშლიდა იმას წუხი-
 ლით განმეორებინა მართებლობისთვის შე-
 მდგომი: თუ თქვენ გასურთ მოითხოვოთ და-
 კმაყოფილება ბოროტის მოქმედებებზე ეს
 ძრიელ კარგი; მაგრამ არ გაქვსთ სხვა რამე ჩემი
 განზრახვა? ხომ არა სცდილობთ, რომ ისარ-
 გებლოთ ჩრდილოეთი — ამერიკის რესპუბლი-
 კის შინაგანი სამწუხარო განხეთქილებით? —
 შინაარსის პრესის დამონაგვებს ამტკიცებს ის,
 რომ იმას არ შეეძლო გაეხსენებინა რა-
 საც უცხო ქვეყნის გაზეთებში ვკითხულობ-
 დით. მე არ ვფიქრობ, რომ ეს ჩემი მკირედი
 შენიშვნა უარ ყოს კრების უმეტესმა
 ნაწილმა. მეზობელთ მხარეებიდან გვესმოდა
 ფრიად სამწუხარო ამბავი, ვითომც იგზავნე-
 ბოდეს შეერთებული ჯარი მხეიკის რესპუბ-
 ლიკის დასამზობლად, რომ შემდგომ იქ მო-
 ნარხია დაწესონ. აი ჩვენ რას ვლაპარაკობ-
 დით იმ დროს, როცა პირველათ მხეიკის სა-
 ქმე შეეიტყუეთ. ჩვენ მიხედვით იმასაც, რომ-
 მელ პრინციანაც დაეწყოთ მოლაპარაკება.
 ის იყო სახელდობრ ისევე-უბედური მაქსიმე-
 ლიანე, რომელიც შეიქმნა მსხვერპლად თა-
 ვისის ვაჟაკობისა და უბედურობისა. მართე-
 ბლობა რაღას ამბობდა? ის სრულებით ამ-
 ტყუენდა ჩვენს სიმართლით ლაპარაკს და
 საქმეს კი სხვანაირათ იჭერდა, ეს ეხლა დამ-
 ტკიცებულია. მხლა საქმე სულ წმინდათ გა-
 მოჩნდა. საუბედურო პოეტი, რომელმაც
 შინაარსის ფული აფანტინა და სისხლი და-
 ქცევინა, პირველათ ისპანიაში შესდგა. ჩვენს
 მართებლობას მოუვიდა აზრში ისიც გარეუ-
 ლიყო მადრიდის კაბინეტისგან და მხეიკის
 ემიგრანტებისგან დაწყებულ სალაატო სა-
 ქმეში. 1860 წლის, 18 აპრილს ისპანიის სა-
 ხელმწიფო მინისტრმა მოსწერა ისპანიის ელჩს
 პარიჟში, რომ იმას ჰქონდა ლაპარაკი ფრან-
 კიის ელჩთან უფ. ბოროსთან, რომელმაც
 წაუკითხა იმას დეპეშა ჩვენის უცხო ქვეყნე-
 ბის საქმეთ მინისტრისა, რომელშიაც იყო
 მოხსენებული, რომ შინაარსი და ანგლია
 მზათ არიანო შეერთებული ძალით დაწე-
 სონ მხეიკაში მართებლობა, რომელმაც ბო-
 ლო მოუღოს უბედურს რესპუბლიკას. (ძრი-
 ელ კარგი, ძრიელ კარგი!) მეცადინეობა რომ
 მთელს ქვეყანაზე ზარბაზნებით ალაყენონ

ზნობითი სჯული, სისულელეზედ კიდევ მეტია
 და ყველა სახელმწიფო კაცმა უნდა თავი მოა-
 რიდოს ამას. (მარცხენა მხარეზედ: ძრიელ
 კარგი, ძრიელ კარგი!) ასლა მოისმინეთ უფ.
 ბარბო რაღას იწერებოდა 1861 წლის 1 ოკ-
 ტომბრიდგ. ლანდონის კონვენცია უნდა
 დაფუძნებულიყო ჩვენი დაზარალებული თა-
 ნამემამულეების დაკმაყოფილებაზე. მაგრამ
 ეს იყო მხოლოდ ფარდა, რომელიც დიპლო-
 მატის სხვა საიდუმლო განზრახვას ჰფარავდა.
 ამას ცხადათ ამტკიცებს უფ. ბარბო. რომე-
 ლიც იწერებოდა, რომ იმან თავისი პასუხის
 მაცემაში — ისპანიის მინისტრს უწევნა შეუძ-
 ლებლობა გამოცხადდეს სხვარამ ექსპლიტის
 განზრახვა ამის მეტი, რომ მხეიკელებს
 უნდა მოსთხოვონ ჩვენი დაზარალებული თა-
 ნამემამულეების დაკმაყოფილება. მსრეთი
 იყო გარკვენი ექსპლიტის განზრახვა, რომე-
 ლიც მალაედა სხვას შინაგანს საიდუ-
 მლო განზრახვას — მხეიკის რესპუბლიკის
 დამხობას და იქ მონარხის დაფუძნებას,
 რომლის ტახტზედაც უცხო პრინცი
 უნდა ხელმწიფედ დამჯდარიყო. თუ რომ
 თქვენთვის ადრევე ეთქვათ, რომ არამტყუ
 მხეიკელებს ჩვენი თანამემამულეთ დაკმაყო-
 ფილება უნდა მოეთხოვოს, არამედ იმათი
 რესპუბლიკა სრულებით უნდა დაირღვეს და
 იმის მაგივრათ მონარხია დაარსდეს, — მაშინ
 თქვენი სიბრძნე და პატრიოტული გრძნობა
 უმეტესი უარს ეტყუოდნენ მართებლობას ამ
 საქმის თაობაზედ. (სხვა და სხვანაირი ხმა-
 ურობა). ზავიგეორებთ, რომ მართებლობამ
 დაგიალათ თავისი განზრახვა, რომელიც ღი-
 რსად — პატივცემულის უფ. ბრანე დე მასანი-
 კის სიტყვით იყო კარგათ მოსაზრული და არ
 ეწინააღმდეგებოდა არც გონიერულს პოლი-
 ტიკას და არც უფლებას. როგორ! ნუ თუ
 შეიძლება სამართლიან და გონიერულ საქმედ
 იწოდოს შესევა უცხო ქვეყნელების მამულში
 იმ განზრახვით, რომ იქ ხალხში აღძრან გრძნო-
 ბა, რომელიც იმათში არას დროს არ დაიბა-
 დებოდა, თუ უცხო მხრელები იმათ საქმეში
 არ გარეუღიყენენ იმ განზრახვით, რომ მო-
 რს მხარეზედ შინაარსის დროშის სახელით ხა-
 ლბი ერთი მეორეს წახსებონ! არა! არა! ეს
 აზრი განკიცების ღირსია როგორც მსჯელო-
 ბის სახელით, ისრე უფლების სახელითაც.
 ღირს ოჯახებს, რომლებიც ხალხათ იწოდე-
 ბიან, სრული უფლება აქვთ ისრეთი მართებ-
 ლობა დაიწესონ, როგორიც იმათს ზნეს, ჩვე-
 ულებას დახასიათს ჰმეფებოზს. ამ უფლების
 შესება ბუნების წინააღმდეგობა არის, ამ-
 ისთვის რომ ეს უფლება თვით ბუნებითვე
 დაყოლილი აქვს კაცსა. (მების შესხმა მარც-
 ხენა მხარეზედ) უფ. მინისტრმა რამდენჯერ-
 მე სთქვა, რომ კეთილგონიერება მოითხოვს
 მართებლობა ჩვეულებრივ კანონს ზოგჯერ
 ასცდესო. იქმნება ამ კეთილგონიერებამ წა-
 რმათქმევინა უფ. მინისტრს შემოხსენებული
 სიტყვები. მე ვერაფერს ვერ ვიტყვი ოფიცია-
 აღურ დეპეშებზედ, რომლებიც მე არ წამი-
 კითხავს, მაგრამ არა მრწამს, რომ უფ. მინის-
 ტრსაც არ წაეკითხოს ისინი. იმეებში უცე-
 ლელად არის გამოკრებული ერთი და იგივე
 გამარჯვება, რომ საქმე სულ ჩვენ სასარგებ-

ლოთ მიდის, რომ ჩვენს ჯარს აღტაცებით წინ-
 გებებთან, პრინცი, რომელიც 1864 წელში მე-
 ნიკაში გამგზავრდა, ხალხმა ღმერთით მიიღო.
 უფ. ტიგრის აზრების წინააღმდეგ, რომელიც
 მაქსიმელიანეს თითო უწევნებდა უფსკრულს,
 რომელიმაც ის უთუოდ დაინთქებოდა. აი
 რა სთქვა უფ. მინისტრმა, როდესაც უფ. ტი-
 გრმა უწევნა იმას საქმის სხვა და სხვა უხერ-
 ხულობა, რომელსაც მაქსიმელიანე თუ მხეი-
 კაში წაიდოდა ვერ ასცილდებოდა: „ღმერთი
 წარმართავს იმის გზას და შეარცხვენს პესი-
 მისტებს“. ასლა ვკითხავ მე ყველას, ვისაც
 მართლის თქმა უყვარს, როგორ შეგვიძლიან
 ჩვენ მართებლობას უარი რაზედმე უთხრათ,
 მაშინ როდესაც ჩვენ აღმინისტრაცია (მარ-
 თებლობა) სრულებით არას გვატყობინებს,
 როდესაც ის საზოგადო საქმის საიდუმლოებს
 გვიმაღავს. ამისგანა მე სრული ნება მაქვს ეს-
 თქვა, რომ მართებლობა მალაედა მართალსა
 და იმ მიწუტში, როდესაც უფ. მინისტრი ამ-
 ბობდა თქვენ წინ დასამწვიდებელს სიტყვებს,
 მართებლობას თვალწინ ჰქონდა ჩვენი აგენ-
 ტების დეპეშები, რომელშიაც ეწერა მხეიკაში
 ჩვენი გამარჯვების შეუძლებლობა. მშში,
 რომელსაც თითო ნაბიჯის გადადგამზედ ვა-
 მაგრებდით, ავსტრიის სასახლის გულისთვის
 ჩვენი საკუთარი ინტერესი შეესწირეთ და
 დაცხოვეთ სალდათები უბრალო ბრძოლაში.
 (ხმაურობა. მება ზოგი სკამებიდან) თუ რომ
 თქვენთვის შეეტყობინებინათ მართალი და
 გამოეთქვათ გამარჯვების უიმედოვნება, ნუ
 თუ თქვენ საქმეს არ დააყენებდით? მს არის
 სვინილისიანი ქცევა, რომელიც მართებლობის
 და შეყრილობის წარმომადგენლების შორის
 უნდა ასრებოდეს. (ლაპარაკის გაწყვეტა) თუ
 სუყველა, რაც მე ესთქვი, მართალია, მაშა-
 სადამე მე მაქვს სრული ნება გამოაცხადო,
 რომ ექსპლიტის დამარცხება მოხდა არამც-
 თუ იმ მიზეზით, რომ ჩვენი მართებლობის
 მოქმედებას კონტროლი არა აქვს, არამედ იმ-
 ისთვის უფრო, რომ მართებლობაში სიმართ-
 ლე არ არის. (ხმაურობა. ლაპარაკის გაწყვეტა
 მე ვამტყუენებ მართებლობას იმაზედ,
 რომ ის ომობდა მაშინაც, როდესაც
 ომი შეუძლებელია იყო და მაქსიმელიანეს
 უშლიდა მხეიკისთვის თავი დაენებებინა (შა-
 რის ყოფა). შევალნო, ჩვენ ყველას ერთნაი-
 რათ გვეყენდა მხეიკაში სისხლის ღვრა. ის
 პარტიები, რომლებიც თავისი გულის თქმას
 აჰყვებიან და ერთმანეთს სასიკვდილოთ არ
 დაინდობენ, უნდა განიკიცოს კაცობრიობის
 სახელით. ღირსად — პატივცემულმა ჩემმა ამ-
 ხანაგმა უფ. ტიგრამაც ამაზედ ილაპარაკა თქე-
 ვნ წინ ამ ცოტას ხანში. ცხადია რომ ჩვენ
 გვსჯის მიუცილებელი განგება ღვთისა, რა-
 ლაც შემზარავ მაგივრობას მიეცემის წესი, რომ-
 მელიც დაზარაობს სისხლში იმათ, ვინც სის-
 ხლის მღვრელები არიან. (ხელ-ახლათ ლაპარაკის
 გაწყვეტინება). ამისთანა კატასტროფის დროს
 საჭირო არის კაცმა იქონიოს გულგრილობა
 და კეთილგონიერება. ჩვენს მართებლობას
 არც ერთი ამთავანის ქონება არ შეეტყო.
 იმან წარმოსთქვა ოფიციალურ გაზეთებში
 ისრეთი სიტყვები, რომელთაც შეუძლიანთ
 ძრიელ ცუდათ იმოქმედონ ზღვის გაღმა. (მა-
 რცხენა მხარეიდან უძახიან: ძრიელ კარგი!)

ოსმალ. ზაზეთში „Sieele“ დაბეჭდილია შემდგომი კორექსიონდრები, 24 ივნისს (6 ივლისს) გამოგზავნილი ათინიდან: „მეგრ-ფაშა“ შემდგომი თავისი დაბეჭდვისა ამ უკანასკნელ დროში სამხედრო რჩევაში 24 ივნისს (2 ივლისს) გადასწავილა მოიხმაროს უკანასკნელი ღონისძიება სფაიის და სელიონის დასამორჩილებლად. იმან გაგზავნა წინ ორი ფაშა: რეზიდენტი და სარკო ფაშა 6,000 კაცი. თვითონ მეგრ-ფაშა უკან უნდა მიყოლიყო იმათ ცოტა მოზარებით: შრანკო კი ქასტელში დაებინა ჯარით.

„რომ კარგათ წარმოვიდგინათ მეგრ-ფაშის ჯარის მოძრაობა, საჭირო არის ვიცოდეთ მანდის კუნძულის მდებარეობის სახე. ის შეიძლება გამოგზავნოს ფრიად დიდ ცელს, რომელსაც ჰქონდეს 75 მილი სფაი და განი ზეზედ 30 მილი, ბოლოებზე 4 და 6 მილი. შევლა ოსმალის ჯარის წინამძღოლებმა, რომელნიც ერთი ერთმანეთზე გამოიცადნენ, მანდის დასამორჩილებლად მიიღეს ეს მიმართულება, რომ ჯერ განთავისუფლონ ერთი კუნძულის მხარე საბერძნეთის ეოლონტერებისა და შეიარაღებული კუნძულებისაგან და შემდგომ შეესივნენ მეორე მხარეს და ძალდაძლ დაიმორჩილონ.

„პორტის საუბედუროთ ამ მიმართულებას არაფერი სარგებლობა არ მოაქვს. ბანდგომილები, თუგინდა დამარცხდნენ და დიფანტინი, ფიხლავე მთებში გაიბიან, იქ ჯარებს აწყობენ, ხელმეორეთ ოსმალსა წინუხედებიან და ისრეც თავის ადგილებს იჭერენ, რაკი ოსმალსა მოიცილებენ.

„მეგრ-ფაშა ცდილობს განდგომილებს შიშის ზარი დასცეს, რომ ამითი მანც რასმე ღონეს გახდეს. ის ტყვეებს ზოგს ახრჩობს და ზოგს ოთხათ აჭრევინებს. უკანასკნელი ექსპედიციის დროს, რაც ქასტელის მცველები დაატყვევეს ყველას ასრე უყვეს. მითი მღვდელი წვერით დაჰიდეს და ისრე დაახრჩეს. 22 ივნისს (4 ივლისს) ათამდე გლეხიკაცი, რომლებსაც ძალა აღარა ჰქონდათ თავიანთ თანამემამულეებს უკან მიყოლიყვნენ, ტყვეთ დაიჭირეს და აკრი—მასილევში მეგრ-ფაშის თვალწინ აწამეს.

„21 ივნისს (3 ივლისს) განდგომილების წინამძღვარი ხაჯი—მისალი 1,500 ინსურგენტებით გათენების ხანს თავს დაესხა სარკო—ფაშის ჯარს და დიდათ დაზარალა. სარკო—ფაშა თავისი დამარცხებული ჯარით დაბრუნდა უკან აპოკორონში, რადგანაც განდგომილებმა ყველა საომარი იარაღი და საკლავი სულ ერთიანთ წაართვეს. მეგრ-ფაშა რომ ეს შეიტყა თავისი ჯარი საჩქაროდ ქასტელ—შრანკოსკენ გაამგზავრა.

„ის უკანასკნელი მანდის ამბავი ბერძნებს სულ აცეცხლებს. შილო კრ ტის კომიტეტები მოქმედებენ ყველგან. იმათ გამუდმებით მოსდით შესაწევარი მამულის მოყვარულთაგან, რომლებიც სამშვიდარს გარეთ მიყოფებიან. ხაბერქმეთის მცხოვრებლები მოიმედნენ არიან იმ მოტიას, რომელიც რუსეთმა, შრანკო, პრუსიამ და იტალიამ გაუგზავნეს პორტას, მაგრამ ეს ნოტა თუმც ერთის მიმართულებისაა, მაინც ერთი არ არის, როგორც გვარწმუნებდნენ. მანდის საქმის გამოძიებას მოუთმენელათ ელიან, და თან ჩუმად ლაპარაკობენ, რომ დიპლომატიური საქმე ჩქარა არას დროს არ გარიგდება, ჯერ კომისიებიც არ დანიშნულანო, რომ ზამთარიც მოვა, ეინემ ისინი საქმეს გაათავებნო, აქამდისინაც უნდა მანდის საქმე დაებოლოვებინათო.“

ტ ე ლ ე ბ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

ნუ-იორკი, 3 (15) ივლისს. მაშინგტონის კონგრესის პალატის მდიუტატებმა უარი სთქმეს გამოაცხადონ სიხარული იმპერატორ

რი მაქსიმელიანს დამარცხებზედ. მეხიკის მართებლობამ მოაკლო მოქალაქობის უფლება ყველა დაბალი ხარისხის მეხიკელებს, რომლებიც ომის დროს იმპერატორის ჯარში ერევნენ. დაბალი ხარისხის უსხო-ქვეყნელები გამორეკეს მეხიკიდან. იმპერატორის ჯარის გენერლები მიიციმან სასჯელში სახელმწიფოს ლალატობისთვის. დანარჩენი—ათიცრები იქნებიან დატუსაღებულნი ორი წლიდან ექვს წლამდე.

ოსმალ. 6 (18) ივლისს. ამბავი, რომელიც ოსმალადგან ისმოდა მეგრ-ფაშის გამარჯვებზედ, ესლა გამოსჩნდა, რომ ერთი ორათ გაუბეგრებიათ. მეგრ-ფაშამ მხოლოდ სფაიის მთის მალლობი ადგილები დაიპყრა. ბანდგომილები მთის ვიწრო ადგილებში წავიდნენ. იმათი ცოლშვილი გამოქვაბულებში არიან დამალულები.

ლონდონი, 6 (18) ივლისს. ანგლიის ფლოტის გაშინჯვის დროს პოროლევა მიკტარიათ მიართო სულთანს საკვართულის ორდენი. მარისშალმა, რომელიც ფლოტის გაშინჯვის დროს ადგა, დაუშალა ხომალდებს ზღვაში ცურვა ევოლიუციის დროს და ვერც იალქნებიდა გაშალეს: მარისშალმა უბედურება არა მოახდინარა.

სალიტერატურა ნაწილი.

მუშა ხალხის ძალის და მოჯახის მდგომარეობა მერკოსის წინა-სახელმწიფო-მავში.

VII.

ლონდონში სამი კვარტალია, სადაც განსაკუთრებით შეგუფუფუნნი არიან მეტი ნაწილი ქალაქის მუშებისა. ეს კვარტლები არიან: სმიტლ—ფილდა, ბეტნალ—გრინ, უაიტ—ჩაპელი. მრთვე გაივლის რკინის გზა. მალდის მალლობიდან, რომელზედაც მიდის რკინის გზა შეგიძლიანთ შესხედოთ ყველა კუნჭულს, სადაც კი შეტუდებულია აქ სილარიზე. იქ შეხედეთ გამხდარ შიშველ ქალებს, ფერ-მკრთალ ყმაწვილებს, რომელნიც ტალახში ჰყრიან გარეთ, ერთათ ღორებთან. მონკები გამოკიდებულია ქუჩებში. შევლან სიუწმინდურ და მყარად გუბებინ. აი რა სახეს გეჩვენებს გარედან უაიტ—ჩაპელის კვარტალი. მსლა თვითან შინაგან ცხოვრებას შევხედოთ. აი რას მოგვითხრობს ერთი პირი ამ ლონდონელი მუშების სადგურებზე: „დიდი ხანი არ არის სტაროსტებით ჩვენ შევედით ერთ ძველ სახლში, რომელიც პატრონს დაეტოვებინა. ძიბე თითქმის ჩანგრეული იყო და ისე ზნელოდა, თუმცა შუა დღე იყო, რომ სამთელი საჭირო იყო არ ჩაეცენილიყავით. ჩვენა ენახეთ ორი ტალახიანი ყმაწვილი; დედაი მათი იწვა იქით ტალახიან ჩალაზედ, ძლივს იყო მიფარული ტომრითა. მთელ მათ ქონებას შეადგენდა: ორი კონა ჩალა, ოთხი თუ სამი დამტრეული სინი და მასთან ერთი კალათა,“ ამ გვარსავე მოგზაურობაში მოგვითხრობს ერთი ექიმი, რომ ერთი ოჯახობა ხუთის სულთანგან ერთსა და იმავე ქვეშავებში ეტივნენო: ორმოცდა ათის წლის მამა და ცოლი, ოცი წლის ქვქიანი შვილი, ქალი თექვსმეტის წლის ეგრეთვე სწულიანი და ბოლოს კიდევ პატარა ყმაწვილიც. ღლით კი იმავე ოთახში მუშაობდა მამა სამის შაგირდით. მრთს ოთახში, ამბობს ექიმივე, სახლის პატრონი იდგა შუა ოთახში ევრასთან, კუთხეში მორიგებული იყვნენ ცოლშვილებით. მრთს ქვეშავებში ეძინათ ხუთ ხუთს კაცს, ამას გარდა ერთს დამახინჯებულ ბებერს ქალს, რომ არა ჰქონდა საშალა ეძლივა ქირა მთელის ქვეშავებელისა, ქირაობდა მარტოკა ნახევარს.“ ამ გვარსავე გვამბობს მეორე პირი, რომელიც მოგვითხრობდა ამ გვარ სახლებში. ჩვენ ჩავევით ღარიბ სარდაფში ტალახიან და ბნელ კიბეზე. ოთახში იდგა რვა სული. მთელი ოჯახობა იქ იყო ჩვენი მოსვლის

დროს. მამა იყო ჯერ ყმაწვილი კაცი, მუშაობდა ქარხანაში და იღებდა კვირაში 7½ შილინგს, მაგრამ მუდამ კი არა ჰქონდა მუშაობა. სახლი უჯდებოდა 2½ შილინგით კვირაში, მაგრამ ორი თვე აგერ გასულა და იმას იმისი ქირა არ მიუცია ოთახში არ იყო არც სკამი, არც სტოლი და არც ქვეშავები. ჰუნჭულში მტვერში ეყარნ შიშველი ყმაწვილები; დედამ პირი მოგვარიდა, რომ დედარას კონკებით საშიშველედ, ქმარს ზევიდან ჰქონდა რალაც წამოსხმული და შიგნით უჭურავო იყო. იმან რიგინად მიგიღო, გამოსტევა თავისი ბედკრული მდგომარეობა. ჩვენ რომ შევედით, ის დაბადებას კითხულობდა და ჩვენი კითხვის პასუხად გვიჩვენა თავისი შიშველი გული, გვიჩვენა თავისი ცოლზე, რომელმაც სირცხვილსა გამო ფეხი ვერ მოიცვალა, და თავის ყმაწვილებზე, რომელნიც ერთი ერთმანეთს ეტყუებოდნენ, რომ დამალულიყვნენ ჩვენის თვალისგან. მალე იქნება, წარმოსტევა მამამ, როდესაც მე საშუალოთა ველარაფერში გავალ. ეს ოჯახობა პატრონათ იყო შერაცხული და რამდენჯერმეც მოწყალეობა მიიღო ტანისამოსით, მაგრამ გაჭირება მათ ლუკმა პურში აცვლევინებდა. ამ გვარია ცხოვრება მუშებისა ყველა დიდ ქალაქებში, ყველგან სისაწყლედ და სილატაკად. ანგლიელი ჩამბერსი ამბობს: „შევიარ არ არის მუშები ისრეთ მდგომარეობაში არიან, რომ შევადაროთ მათი ცხოვრება შინაურ ცხოველებს, სწორეთ ჩვენ ვხედვით, რომ ცხოველები მათზე სიუხვეში სცხოვრებენ.“ ამასაც დაუმატოთ ბნელი კარტინა სიმონის მოთხრობისა მუშების ცხოვრებაზე ზღაზგავში: მუშებს ქალაქის დაბლობი ადგილი უჭერიათ, იმას საკუთრად ეძახიან უინდის. სიმონსი ამბობს: „უინდში 30,000 მოსახლეა. ეს კვარტალი მიგდებულია, სადაც გაივლიან მარტო ვიწრო გზები, და შეიყვანენ კაცს მიყრუებულ სახლებში, რომელნიც სავსე არიან ნაგავებით, გარეგანი ტალახიანი სახე ამ სახლებისა კიდევ არაფერი იმასთან, რაც სისაწყლეს და სილატაკს შიგნით ნახავს კაცი; ღამე იქა ნახათ ჯგუფად მიყრილ კაცებს, შიშველებს სველს და დამალ ჩალაზედ. საქმელი ყოველთვის არა ხდება იმათ კუჭსა, თუმცა კი მუშები არიან. ისინი შემოსავალი მათი ქურდობა და სხვა სისუსტე. ვერ ასწერს კაცი იმ ტალახს და სიუწმინდურს, რაც აქ იპოვება. არაფერ არასოდეს არა ცდილობს, ამბობს სიმონსი, რომ გასწმინდონ ეს ადგილები, პირველი ადგილები ყოველ გვარ სიბოროტისა და ქირასა. ბოლოს იტყვის: ასე სცხოვრობენ მუშები მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნაწილში. აი მაგალითები, რამდენათაც სიუწმინდურში შევიდა მუშის ცხოვრება. მანა წინათ წყლის და პურის მეტი არა ჰქონათარა საზრდოთ, განა ჩალას მეტი არა გეზიართა მათ ამის წინათ! განა ამაზე დაგლევით იყვნენ ჩამძულნი ამის წინათ, ანარა და ამაზე ვიწროთ იდგნენ! საშუმლოდ რომ ავიღოთ ანგლიაში 44 წელიწადია კაცის სიცოცხლე. მანჩესტერში კი 17-ი ან ოცი, მეტს ვერა ცოცხლობდა.“ ათასის ყმაწვილთაგან, რომელნიც იბადებიან მანჩესტერში, ამბობს გენერალი შოზე, ხუთას სამოცდა ათი იხორცება მიწამ ხუთ წლამდე მიაღწევდნენ, და რომელნიც კი სიკბუქეში შედიან, ისინი მალე ბერდებიან, ასე რომ ორმოცდა ათის წლისას აღარ შეუძლიან მუშაობა. იმდენი ქვრივი და ობოლი არც ერთ ანგლიის ქალაქში არ არის, რაც მანჩესტერში მოიპოვება. მანჩესტერის მუშები არიან გაყვითლებულნი, გამხდრები, იმათ სახეში არაფერი არ ამტკიცებს ჯანს და ძალას.“

ფილიპე დათეშიძე.

(შემდეგი იქნება).

მართი უნდი ჰაჰა ათი წონა ზეზლი.

„დროების“ მკითხველი, რასაც ვიწვევით, წიკითხავდა ამ გაზეთში ნიკოლოზ აგალიშვილის სტატიასა ქვემოთ ამის ხელის მომწერზედ. ეს საცოდავი, თავის საუბედუროთ, ვიდასაც კეთილის მყოფელს წაუტყვებია ჩემზედ გამოსასუსებლათ, როდესაც მე ავალშივლის კალენდარი მოვიხსენიე ყოველად უგანათ. ამასაც უფიქრია: მოდი ერთი გავბედე და შევებღღარებუნები უფ. შურცელაძეს: თუ თავი არ გამიყადრა და ხელი არ გამომიღო ხომ შემრჩება ეს ჩემი ყვინჩილობა, თუ არა და ეგება ჩემმა წამქვებელმა ნაცარქექიამ გამომიხსნას უფ. შურცელაძის ბრწყალებისაგანო.

მე არ მინდოდა გამოვასუსებოდი უფ. ავალიშვილს, რომელიც, შეშინებული თავისის კუნკრუხისგანვე, იხევწიბოდა, რომ ხელს ნუ გამომიღებ: ეს ერთი გამაბრეყვს და კვლავ აღარ გაგებდამო, და მეორეც ესა ჩემისთანა კაცის გაქვლეა შენთვის რა სახელია და ჩემთვის კი დიდი სახელია, რომ შენ შემოგებღლარდუნო; მაგრამ რადგან მე იმოდენა კაცთმოყვარება მაქვს, რომ მინდა ყველა კაცი თავის თავს იცნოდეს, და ვიცი, რომ ავალიშვილის ჭკუის კაცებს თუ კაცი გაუჩუმდა—ეს გაჩუმება იმათ არცარას ჩაგონებს და არცარას აგრძნობინებს და ამითი ისინი უფრო ფრთებს გააშლევინებენ თავის უშვერებასა, ამის გამო მე ჩემს ვალათა ვრაცხავ ცოტაც არის განუმარტო ავალიშვილს იმისი თავის მდგომარეობა.

ჩვენდა საუბედუროთ, არამც თუ ძერესელოდემ, რომლისთვისაც ღმერთს არაფერი სწავლა არა გაუჩენია რა, მოტყუებისა, ინსინუაციებისა და თავისი სარფის მეტი,—და ბევრმა ჩვენმა ახალმა მწერალთაგანამაც არ იცის ნამდვილი მოვალეობა მწერლობისა და ლიტერატურისა და ბეჭდვის მნიშვნელობა. ჯერ ჩვენში სინდისიანი მოქმედება საზოგადო საქმისთვის ძვირათ თუ ვისმე აქვს ნათლათ გამორკვეული და ისიც რა სამაქნისოა, არამც თუ ლიტერატურა და ყოველი საქმე, რასაც კაცი ხელს მოჰკიდებს; და ამითი წარმოსდგება, რომ დღეს, როდესაც თითქმის მომეტებულს ნაწილს ბერძნისა დაბალს ხალხს კალენდრებით უხსნიან გონებასა იქაური გამოცდილი მეცნიერები და ისე ისარგებლეს ამ მეცნიერებმა კალენდრებითა, რომ ამითის შემწეობით გაჰყავთ ხალხში ის სწავლა და აზრები, რომლებსაც საჭიროთა ჰხედადნენ ხალხისათვის,—დღეს ჩვენში ავალიშვილის კალენდარი ჰგონია ვისმე გამოსაყენებელი, რომელსაც არამც თუ ვერ გაიგებს დაბალი ხალხი და თვით ჩვენთვისაც თავისი ციფრებით და ზღაპრებით საუბრობელაა.

შოველს სტრიქონს, რაც კი გამოდის მწერლის ხელიდან უნდა ჰქონდეს მოსაზრული და აწონილი სასარგებლო მნიშვნელობა. შოველი მწერლის მეცადინეობა, მეტადრე ჩვენისთანა ნორჩს საზოგადოებაში, უნდა იყვეს, რომ გამოჰყავდეს მკითხველი თავისი ცრუ აზრებიდან და რწმუნებინდამ; უნდა ასწავლიდეს კეთილ-დღეობისა და სიმაართის გზას და ამათ მიღწევის ღონის ძიებასა, უნდა უხსნიდეს გონებასა და ზნეობასა;—ერთის სიტყვით იყვეს მკითხველის ხელის მძღვანელი ყოველს სასარგებლო საქმეში. ამაზედ კარგ ვერცლათ ვილაპარაკე მე წრევანდელი „სისკრის“ პირველს ნომერში, და ამის გამო აქ აღარა ვრაცხ საჭიროთ იმის გამოვრებასა. შოველი დაბეჭდილი ასო, რომელიც ამბობს იმასვე, რასაც საზოგადო შეცდომილება და წამხდარი აზრი, ამყარებს და უფროც აფუძნებს საზოგადოებას თავის აზრებში, ყოველი სტრიქონი, რომელიც არას ასწავლის მკითხველს, ან ისე ასწავლის, რომ მკითხველი ამისა არას გაიგებს, ახდენს კიდევ საზოგადოებას უხდენს გულს სწავლაში და უკარგავს სწავლის ნდობასა.

შე. ავალიშვილის კალენდარი მოკლებულია ყოველს ამ კარგს მხარეებსა და სახეს ამ ნაკლებულენებებითა. რომ კაცს შეეძლოს ამ გვარათ სასარგებლოთ მოქმედება, უნდა ჰქონდეს სწავლა, უნდა ჰქონდეს მომზადება, უნდა იყვეს სინილისიერი. შე. ავალიშვილი ამზად ყველაფერში უკაცრავათ გახლავს. სწავლა, ხომ, როგორც ჩემი მოკლე განცხადებითა და თვით ავალიშვილის აღსარებითა სცნობდა მკითხველი, ღმერთის იმისთვის არ მიუნიჭებია. ან კი რა ცოდნა უნდა ეთხოვოთ იმ კაცს, რომელმაც 1867 წელში არ იცის, რომ შრანცია საკაროლო არ არის და პრუსია ცხრამეტი მილიონი ალარ იქნება შემდეგ იმ ცელილებებისა, რომლებიც იქ ამ უკანასკნელს დროში მოხდა, და რომლებიც, როგორც ვიცანით, ავალიშვილის არ გაუგია. მე რადგან კალენდარზედ ლაპარაკი არა მსურდა და სიტყვამ მოიტანა, მე ჩემს განცხადებაში ვასენე მხოლოდ ორი შეცდომილება ავალიშვილის კალენდარში. აქი ჰგონებია ავალიშვილსა, რომ ორი შეცდომილების მეტი არ იქნება და სხვა, თუ ცოტადენს რასმე მიზიანი კიდევ, იმას ეხლავ კორრექტურის შეცდომილებას დავაბრალებო და რაღას იტყვიანო. მნახოთ ჩემს მოვანსენებთ.

შე. ავალიშვილის თავისი კალენდრის საჩკეთ აუღია ერთი უმსგავსი რუსული კალენდარი, რომელსაც სახელათ ეწოდების „Крестовый календарь“. მითონ ხომ არაფერი არა გაგება რა და არც შეუუწებია როდისმე თავისი გოგრა რისამე გაგებითა და სწავლითა და გადმოუღია ეს კალენდარი ქართულათ ყოველი შეცდომილებებითა, დარწმუნებული რომ აქ შეცდომილება არა იყო რა. შე. ავალიშვილისთვის, რომ. ჰქუას ძალა არ დაეტანებინა და პატარა სკოლადა რამე ქვეყნიერებაში რა ამბავია, ადვილათ მიხედებოდა ჩემის ორის შენიშვნით განცხადებაში, რომ თუ კი პრუსიაში მოხდა ამ უკანასკნელ ომიანობის დროს ცელილება—აესტრია და იტალია—ხომ ამ ომებში ერიენენ და ხომ აქაც მოხდა ეს ცელილებანი. მაგრამ აქაც კიდევ მე უნდა შევატყუბინო უფ. ავალიშვილს თავისის წაქეზებელის ნაცარქექითურთ, რომ, როგორც პრუსიაში გასდგა თავისი სამძღვრები, ეგრეთვე იტალიამ შეიმატა თავისი დაკარგული ქვეყნები და აესტრია ამ ომიანობის დროს ძალიან შემცირდა. მაშას დამე აღარც აესტრიაში უნდა იყვეს 548, 849 კვადრ. ვერსი ალაგი და 33, 080, 679 მილიონი მცხოვრებნი; არც იტალიაში 226, 162 კვადრატნი ვერსი, 21, 777, 334 მილიონი ხალხი, როგორც სწერია „Крестовый календарь“-ში და უფ. ავალიშვილის კალენდარში. აგრეთვე ეს ცელილებებიც მოხდა ბევრს ზერმანის სახელმწიფოებში, რომელნიც აგრეთვე ერიენენ მოხსენებულს ომში და ავალიშვილს თავისის კალენდარითურთ არ გაუგია ესეები ჯერაც და ჰფიცავს ორის მეტი შეცდომილება, არ მომსელიაო. აბა რა გიყო, ავალიშვილო! ან იქნება ეს თქვენს ჰქუაში კორრექტურის შეცდომა. ღვე გქონდეთ ნუგეშით, რომ კორრექტურის შეცდომა. ის რიღას შეცდომილება იყო, რომ მექსიკას თქვენ იმპერიათა რაცხადით? თქვენ იქნება მითხრათ, რომ ხელმწიფე იჯდა იქა, (თუ კი იცოდით ან ესა და იმითი არ მოგიფიდათ, რომ „Крестовый календарь“-ში ისე ეწერა) როცა მე ამ კალენდარს ვსწერდიო. აბიდეც ეგ არის უბედურება, რომ თქვენ თვითონაც არა იცით რა და თქვენის უმცირებით სხვებიც შეცდომილებაში შეგყვით. თქვენ რომ ყური გედენებინათ წუთის სოფლისთვის და გცოდნოდით რამე, გაიგებდით, როგორ და რის ძალით იჯდა იქ ხელმწიფე და ვინ ან როგორ ემონებოდნენ ამ ხელმწიფესა. თქვენ იქნება ჯერ არც კი გაგიგიათ ტრაგიკული ბოლო ამ მიუპატიჟებელი ხელმწიფისა? ან იქნება თქ-

ვენ არც კი იცოდით, რომ სარესპუბლიკო მმართველი მექსიკისა (თუ ან კი იცოდით, რომ მექსიკა იყო სადმე და ჰყვანდა თავისი მმართველობა) არ იყო დამხობილი და ექი-რა ხელში ძალა ხალხისა, რომელიც ამისმეტს თავის კანონიერ მმართველათ არავის იცნობდა?... აბა რა გიყო! მს რომელიღა კორრექტურის შეცდომაა!

ახლა გადვიდეთ სხვა თქვენს უშვერობებთან, უფ. ავალიშვილო. თქვენ სწერთ, რომ „330 მილიონი მომკვდარის მაგივრათა იბადება ყოველ წელიწადს 412 1/2 სული; მაშა სადამე ყოველ წელიწადს ემატება 82 1/2 მილიონი სული, რომლის გამოცა ხალხი უნდა ძალიან გამრავლებულიყო ქვეყანაზედა, მაგრამ ომების გამო ხალხის რაოდენობა თითქმის ერთნაირია(!) და მომატება ეგრე რიგათ საგრძნობი არ არის...“

აი ჰქუა! აი ცოდნა! აბა თქვენისთანა და თქვენი მფარველი ნაცარქექისთანა ჰქუიანები და მეცნიერები რომ ღმერთს პატარა ბოლომთ მეცა ჩვენთვის, საქართველო აშენდებოდა და იმედია ბოტენტოტებს მოგვწევდით... ომების გამო ხალხის რაოდენობა თითქმის სულ ერთია?... რომ არ გაგისტუმროთ არც ტეტლესთან, არც ბოკლთან, არც ღარვინთან და არც სხვა მეცნიერებთან, რომლებიც თქვენ ჯერ ჰქრათაც არ გაგეგონათ და რომლებსაც ვერც გაგებით და არც მოთმინება მიგიწვდებოთ, რომ წაიკითხოთ, მე ერთს მაღლს მოვისხამ და მოკლეს სიტყვით გეტყვით რაზედაც არის დამოკიდებული ამოდენა ხოცვა და იმედი მაქვს, რომ ძალაა თუ ნება ახლა მაინც გექნება მხედველობაში ეს საგანი, რომ კვლავ ეგ უშვერება აღარ წამოგცდეს.

ხალხის გამრავლება და მოსპობა გახლავს დამოკიდებული საზრდოზე, საცხოვრებელზე, ჰაერზე, გეოგრაფიულს მდგომარეობაზე და სხვა მრავალი კაცის საქორებაების სიკეთესა და ნაკლებულებაზე. რამდენიც რომელიმე ქვეყანა, ანუ რომელიმე საზოგადოება მოკლებულია ბუნებრივს საქორებაებსა, ან რაოდენიც ბუნებრივი საქორებანი მოჭარბებით იხმარებიან, იმდენი იმათი სიმრავლე იკლებს, იმდენი კაცი ნაკლება სცოცხლობს და უდღეოთ იხოცება. თუ დაბადებულნი ასე უწყალოთ იხოცებიან, ამისი მიზეზი მართო რამი კი არ გახლავსო, გახლავსო ათასი რიგი ნაკლებულებანი ცხოვრებაში, უშვერება, გიგინის მოთხოვნილებების აღუსრულებლობა, საზოგადოებების უთანასწორობა, სარჩოსა და საქმის უსწორ-მასწორობა განწყება და ერთის სიტყვით სოციალური უწყესობა, რომელსაც იმავ დასაწყისიდან აღვას კაცობრიობა და რომლის მიზეზის გამოცა წარმოსდგება თვით ომიანობაცა, რომელსაც თქვენ აწერთ მთელი კაცობრიობის მოსპობასა. რათა და რა კანონით ჰმოქმედებენ ესენი ასე მანებლათ კაცზედა, მე ამის ახსნას არ მოგიყვებით, რათგან თქვენი გონებისთვის ესეც ჯერობით ძნელი მოსანელბელი იქნება და მიზეზნი, რომ კაცი არა მრავლდებოდა იმ პროგრესითა, რომელნიც თქვენ მოგყავთ, არიან ესენი და არა მართო ომიანობა. თქვენ იქნება მე არ დამიჯეროთ (და წიგნების წაკითხვას უთუოთ ვერ გაჰბედათ),—შეგიძლიანთ თქვენ ნაცარქექია ოსტატს ჰკითხოთ. ან იქნება ესეც კორრექტურის შეცდომა იყვეს!

მს ჯერ სტაფილოა,—ჭარხალი და ბოლოკი თქვენის უშვერებისა ჯერ წინ არის.

მეორეთგანა ბრძანებთ თქვენი საკვირველის ღრმა მახვილ გონიერებრივის რწმუნებითა:

„მართა გამომჩენილმა სტატისტიკოსმა (ნეტა თუ რომელ გამომჩენილს სტატისტიკოსს იცნობს უფ. ავალიშვილი? ან სტატისტიკა მაგას ალბინია ხომ არა ჰგონია?) აღრიცხა

მომკვდრების რიცხვი სოფლის დასაბამიდან (ჯან ბიკო!) ჩვენს დროებამდინ და გამოიყვანა, რომ მას აქეთ აქამომდე მომკვდართ რიცხვი არის: 26, 628, 843, 285, 075, 840.“

აბა რა გქნა, რა გიყო, უფ. ავალიშვილო!.. მართი ეს მაინც შეგეტყუბინეთ: რომელი ტყეებიდამა ხართ გამოქცეული, ან ვინ იყო თქვენი გამწრთენელი?... ღაფიჯერო მართლა „კრესტოვი“ და „მავესის“ კალენდარებს გარდა სხვა წიგნი არა გქერიათ ხელში.... როგორცა სჩანს, თქვენ არც კი უნდა გქონდეთ შეტყუბილი, რომ გეოლოგებს ჯერ რამდენიმე ფორმატის მეტი გამოკვლეული არა აქეთ და თვით დედამიწის დაარსებისა და შედგენის მოქმედების შესახებ რამდენიმე თეორია ტრიალებს....

მაგრამ, გეოლოგიურს გამოკვლევებს არ არის დიდი ხანი რაც შესაფერი ყურადღება მისცეს და დაუწყეს ბეჯითათ მიღენა; ჯერ ეს მეცნიერება ისე ნორჩია, რომ მტკიცეთ წარმოთქმა რომლისმაც ცხოველთ ხნიერებისა არ შეუძლიან, რათგან ის მხოლოდ, როგორც ზემოთაცა ესთქეთ, გამოკვლევების დასაწყისშია. ამის წარმოთქმა მაშინ შეეძლება იმას გაბეღით, როდესაც სულ ბოლომდინ გამოიკვლევს ამებას. რაც შეეხება ერთი ცხოველდამ მერე ცხოველთ ცელილების სწავლასა (რომელიც თქვენთვის პირველი გაგონება უნდა იყვეს, როგორცა სჩანს თქვენი შეუცდომელის აზრებიდან), ეგ ჯერ ისე ბნელია, რომ კიდევ ბევრი ხანი გავა, მინამ მეცნიერება ამას გვეტყოდეს: ამა და ამ ტიპით გაიყოფება ესა და ეს ცხოველი თავის მშობლებისაგანა, რომელნიც სხვა ცხოველის ტიპს ეკუთვნიათ,—რომ აი ესა და ეს დრო არის ამა დამ ცხოველის თავის ეხლანდელი სახის მიღებისაო. აი რას ამბობს ამის შესახებ თქვენგნით მოძულებული და რეინი (თუ ან კი სადმე გაგიგონიათ ამის სახელი).

ბუნებითი ამორჩევით პროცესს, როგორც მრავალჯერ შენიშნულა, ყოველთვის მოსდევს მოსპობა წინაპართა (თქვენ ამ შემთხვევაში წინაპარნი მამა—პაპანი კი არ გგოვონოთ, რომელნიც, საიჭო არ არის, რომ უნდა მოსპონ,—აქ იგულისხმება ის სახე ორგანიზმთა არსებათა, რომელნიც ეკუთვნიან წინაპართ სახეს—სანახაობას და აღარ ეკუთვნიათ შთამამავალთ თავისის სახითა—სანახაობითა) და იმ სახისა, რომელნიც ამათ შეერთებდნენ — გადაბამდნენ ერთმანერთთან (თავისის წინაპართა და შთამამავალთ მსგავსიერებითა). შშა სადამე ამითი არსებობის დამტკიცება შეიძლება კაცმა იპოვნოს მხოლოდ მიწაში—ნათხართ შთომილებში, რომელნიც როგორც ჩვენ შემდგომს თავში უჩვენებთ, დპარხულან ძალიან ნაწყვეტ—ნაწყვეტათ..“

მაშა სადამე, გეოლოგებზედ არის დამოკიდებული, რომ იმათ მოაზოვონ ყოველთ მოსპობილთ სულიერთ შთომილები, აღრაცხონ რა მიწის სიღრმესა და რა ფორმაციაში რა სახე მოაზვნია; შემდგომ სხვა მეცნიერება, რომელთაც ეს სწავლა ეკუთვნით, უნდა უყონ შედარება, გამოიკვლიონ ნამდვილის კანონებითა, რა შთომილი რა სახეს ეკუთვნის და მასუკან იგარაუდონ რა ხნისა რომელი ცხოველთ სახეა და რა დროს აქეთ განერჩევა თავის წინაპართ ცხოველთა, რომლისაც სახეს აწ ის აღარ ეკუთვნის.

სწორეთ ესთქეთ, რომ იმდენი ხანი არის სოფლის დასაბამიდან, როგორც თქვენს კალენდრებში სწერია;—ეს მაინც როგორ არ იფიქრეთ: რა ღონისძიებით შეეძლო იმ გამოჩენილს სტატისტიკოსს აგრე ნამდვილათ ციფრითი—ციფრათ აღრიცხვა აქამომდე დახოცილთა. ჯერ ერთი ესა, რომ სანდო სტა-

ტისტიკა ისეთი ახალი საქმეა, რომ ჯერაც, თითო ოროლა განათლებულს სახელმწიფოებს გარდა, რიგინას ყურადღებას არაფერი მიღევს; და უწინ ხომ, თუნდა ძალიან ყურიც რომ ეგდოთ, სტატისტიკური ცნობების ნამდვილის მდგომარეობით შეკრება ყოველად შეუძლებელი იყო. არამც თუ უწინ—ამ ერთი ასის წლის წინათ—და ეხლაც ნამდვილი სტატისტიკური ცნობები კაცთა რაოდენობაზედ არ არიან შეკრებილი, თუ არ ერთი ორიოდ დაწინაურებულს სახელმწიფოებში. პოლბი (თუ გაგზონათ სადმე ამისი ვინაობა) ამბობს, რომ ჯერ რუსეთზედაც არ არის ნამდვილი სტატისტიკური ცნობანიო; და ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ სხვა ქვეყნები, რომელნიც რუსეთზედ დაბლა სდგანან განათლებითა, და სადაც სტატისტიკა თქვენსავით საქმელი ჰგონიათ!

ძარგია, ღმერთმან იცის, ვინც ასე კარგათ იმართლებს თავსა! ავალიშვილის მეტს სხვას არავის ამისთანა საქმეზედ გონება არ მიუწევდებო.

ახლა მე დავანებებ თავს ავალიშვილის სტატისტიკური ცნობების შეცდომილებას თავსა, რომელნიც, ზემომოყვანილს უშვერს შეცდომილებებთ გარდა, სხვებიც არ არიან სანდო წყაროდამ აღებულნი, და გადავალ იმის საუკეთესო ალაგთან კალენდარში, რომელნიც გადმოუღია იმას „მარესტოვი“ და „მავესის“ კალენდრებიდან, და უჩვენებ, როგორც ან რუსული ეყურება მაგასა, ან ქართული, რომლითაც მოიქადის თავსა და ან ის საქმე, რომელიც უკისრია გადმოსაღებათა. ჩვენ აგრეთვე დავანებოთ თავი იმ დიდ მუხლებს წაალების შესახებ, რომელნიც იწყებთან 56 გვერდის ნახევრიდან და თავდებიან 57 გვერდის ბოლოზედა. ამათი თარგმანსა და გადაკეთებაში შეცდომილებების ჩვენება დაიჭერს დიდს ალაგსა და ისა, რასაც გამოეწერ და მოვიყვან, ისიც საკმაოთ უჩვენებს მკითხველსა, რომ ამ შემთხვევაშიაც არ ენდოს ავალიშვილის სიტყვებსა და იმის წამლების დარიგებაში ფთხილათ იყვეს. მე უჩვენებ შეცდომილებებს მოკლე მუხლებში, რომელნიც იწყობიან 57 გვერდის ბოლოზედ, რომელიც დაიწყობა ამ თავით „როგორ უნდა მოიქცე, როდესაც ხოლერა გაჩნდება.“

რუსულში არის: მუხლი 1). არ უნდა შესცვალო ერთბაშათ ის ცხოვრება, რომელსაც ხოლერის გაჩენამდინ გასდევდი; არ უნდა შეიწუხოთ თავი მეტის მოთმენით საქმელ-სასამელში, არ უნდა შეშინდე.

მართულშია. 1.) ნუ მოიმშვე, ნურც მოიწყურებ, არ შეშინდე.

რუსულშია. 2). ნუ სჭამ მკვანეს და მეტადრე მეტათ სიმწიფედამ გადასულს და დამპალს ხილსა...

მართულშია. 2) ნუ სჭამ მკვანეს, ან ძალიან დამწიფებულს ხილს.

რუსულშია 3). ახალი რძე გინდ აღუღებული გინდ აუღუღარი კარგი არის. არ უნდა სჭამო დამჭავებული რძე, აგრეთვე არ უნდა სჭამო ჩუმათ შედედებული რძე და მჭავე არაჭანო.

მართულშია. 3). ახალი რძე აუღუღებელიც და აუღუღარიც გარგებს. მაწონი ან ხაჭო გაწყენს...

რუსულშია. 4). მაწყინარია წამხდარი ღვინო და თევზი...

მართულშია. 4). მაწყინარია დამჭავებული ღვინო, თევზი (ესეც დამჭავებული!)

რუსულშია. 5). წყალი თუ ძალიან ცივი არ არის და მეტათ ბევრი არა სვი არ გაწყენს.

მართულშია. 5) წყლით მუცელი არ უნდა დაიმძიმო.

და სხვანი.

ჩვენ არც ამ თავს გამოეწეროთ ბოლომდინ

ნა, რათგან ბერის ალავს ბჭერს და ნიმუშათ კი ესეცა კმარა.

აღალიშვილი იქნება სთქვას, რომ: მე კი არა ვთარგმნე—გადმოვეყვითო მაშ კარგიგადმოვეყვითო ყოფილა, რომ კაცმა იმის მაგივრათ, რომ გითხრათ ციფ წყალს ნუ დალეოთ, გითხრათ წყალს ნუ დალეოთ; ეწეროს წამსდარს თევზ ნუ სჭამო და შენ კი გითხრან მჭავე თევზს ნუ სჭამო; ან ეწეროს ჩუმასა და მჭავე არჭანს ნუ სჭამო და შენ გითხრან მაწონსა და ხაჭოს ნუ სჭამო და სხ. არა, კარგი გადმოვეყვითო არ არის!... მაგრამ ესეც კარგატყუარის შეცდომა იქნება!

ამდენს ხიკეთსთან, რომელიც ჩვენ ვერ აღვრცხვით ულაგობის გამო, ახლა ისიც რომ დაუმატოთ რა ფასათაც ისეც დება ეს არამსგავსი კალენდარი, მაშინ უფრო კიდევ კარგათ გამოვბოთ რა აზრით უფროა ეს კალენდარი გამოცემული და რა შეილიცა ბრძანდება ამისი გამოცემი... ჩვენში ამ გვარს კაცებს ვეძახით ძერესელიძეებს, მოქმედებას ძერესელიძისეულს.

ბი ეს გახლავთ კალენდარი ავალიშვილისა, რომლის გაგების გამოც ის ისე თავმოწონებული გამოხედვრდა ჩემზედ და ბოლოს თითონვე შერცხვენილი თავისის ყვინჩილაზითა, მეხვეწებოდა: ეს ერთი მაპატიეო.

მე ამითი ვათავებ ჯერობით ამ კალენდარზედ ლაპარაკსა, მინამ უფ. ავალიშვილი ახლა კიდევ იმასაც არ დაიკვირებს, რომ რაც ესლა ნაკლებულდება უჩვენეთ ამის მეტი ნაკლებულდება აღარა მაქვსო, თუმცა ყველა კაცისათვის, გარდა ავალიშვილისა ესეც საკმაო შესარცხვენინ ნაკლებულდება არის.

ახლა უნდა ესთქვათ ავალიშვილის ყვინჩილაზაზედ ჩემ შესახება. ამ უთავბოლო სტატიისას კაცი ვერას გაიგებს. რა უნდა ეთქვა, რას ლაპარაკობს თითონაც არ ეყურება. მე ამ სტატიადმ მხოლოდ ესა ვცანი, რომ უფ. ავალიშვილის თვალში, ჩემდა სამწუხაროთ, მე ძალიან მალა მდგარავარ და ჩემზედ ძალიან კარგის აზრითა ყოფილა და ჰგონებია, რომ იმისი აზრი ჩემს შესახებ ყველამ იცის. ამის გამო, ის, გულდამწვარი პატარხალივით, ჰყვირის და ქვეყანას არწმუნებს, რომ მე იმისთანა მაღალი აზრით არა ვარო შურცელაძეზედაც.

შემდგომ რალსაც ტიტინებს ჩემს თავის მოყვარებაზედ. თავის მოყვარება რომ არა მქონდეს ხომ მეც, უფ. ავალიშვილო, თქვენისთანა კალენდრებს გამოვეცემდი. რაც შეეხება იმასა, რომ მეტის მეტი დიდი თავის მოყვარება მქონდეს, ამას ის არღვევს, რომ მე ავალიშვილს, რომელიც თითონ ჰხედავს თავის ქაღალდის კაცობასა, თავს უყადრებ და ევასუხები, —მეთაილები. თუ ესაა, ეც სხვა არის. მითომც რომ ჩემის განცხადებამ სხანდეს ამ გვარი თავის მოყვარება, ვე მარტო ავალიშვილის გოგრას ეწვევება. აგრე, რათგან ის გახლავთ გართული, რომ ის ხომ გაგვს რამდენი კაცი მომკედარა სოფლის დარსებდამ, ახლა იმან უნდა გაიგოს რადენი ავთამყოფობა მომხდარა ყველა მომკედარი კაცის თავსა, და არა სცალიან გაიგოს წაკითხულის აზრები. ამას ის კიდევ უფრო გვიმტკიცებს, ვითომც მე ჩემს განცხადებაში მეტქვას: რომ: რასაც „დროება“ დაიწუნებს, „სისკარი“ ჰბეჭდის, მეტქი; —როდესაც რომ მე ამას ვამბობდი: რომელიც სტატიები მე დაეიწუნე და რომელიც ჩემს ხელში სიზმრითაც ვერა ნახადენენ თავის თავს ბეჭედში. „სისკარი“ იმათ ესლა კვებნი თაცა ჰბეჭდის მეტქი. ძალენდარში ტყუილი კიდევ იქნება შემოჩამოდა, მაგრამ იმ შენ ტყუილსა, რომელსაც პალეშიკაში შენ წინააღმდეგს აბრალე, რას გამოგადგება!

ბე ავალიშვილი ძალიან ერცლათ ბასაზს რადებდაც, რომლისაც აზრი თითონვე არ გაგებდა და ცდილობს ჩემს განცხადებას სხვა მნიშვნელობა მისცეს, რომ თავის სენა კერესელიძეს ააცილოს აზრი ჩემის განცხადებას. თუ ესეც ავალიშვილის გონებას დაგზაობდა, რომ ვერ გაიგო, რასაც ვამბობდი ჩემის განცხადებაშითა, ვე შეუძლებელია, რადგან იმან კერძო ხმებითაც იცოდა, რასაც ვამბობდი მე ამითი ძერესელიძეზედ: აქ უნდა დავაბრალოთ იმასა, რომ ავალიშვილი აქ სინილის არ დაკითხვია.

ავალიშვილი რაცს უსინილისობათ ჩემს მხრივ, რომ მე გამოვაცხადე ჩემი თავი „სისკარის“ თანამშრომლობით და მერე თავი დავანებე. ეს ერთის შეხედვით მართალი უნდა ეგონოს მკითხველსა, რომელსაც არ წაუკითხავს ჩემი განცხადება იმის შესახებ, რა მიზეზითაც თავი დავანებე მე „სისკარსა“. მე, რაკი ვიცნობდი კერესელიძესა, მართალია არ უნდა ენდობოდი და არ მომეკიდნა „სისკარისთვის“ ხელი. მაგრამ მე შევეყარე ძერესელიძის იმგვარის კონტრაქტით, რომლითაც ყოველი მნიშვნელობა ძერესელიძისა „სისკარის“ რედაქციაში მოვსებ; ამ კონტრაქტის ძალით იმედი მქონდა „სისკარი“ პატარა ფეხზედ წამოვეყენებინა. მაგრამ რაკი ამ კონტრაქტის გასაუქმებლათ ძერესელიძემ იმისთანა ღონისძიებას მიმართა, რომლითაც მე ადვილათ წახედებოდი და „სისკარის“ მკითხველს კი არა შეემატებოდა რა, ამის გამო მე საკითხოთა ენახე ამ ჟურნალზედ ხელის აღება. მე მგონი ამ საქმეს არც ერთი რიგიანი კაცი არ მომიწონებდა, რომ უსარგებლოთ ტყუილათ თავი წამეხდინა და ამ წახდენით შესაფერი სარგებლობა კი არა მომეტანა რა... იქნება უფ. ავალიშვილიც ესლაც არ გაიგოს, ან არ ინდომოს გაგება რაზედაც ელაპარაკობთ, მაშინ ჩვენი ბრალი აღარ არის... ბი ეს გახლავთ მიზეზი, რომ მე ხელი ავიდე „სისკარზედ“.

რაც შეეხება იმასა, რომ ავალიშვილი გულდამწვარი ჩივის, ვითომც მე „სისკარის“ მოსაზრება მსურს, —ვე მე ბეჭედაში არ წარმოვიტყუის კოლოფებსა. აქამდინ ჩემი სტატიების სიკეთეზედ დარწმუნებული არ ვიყავი კარგათა და ახლა კი დავრწმუნდი, რომ მართლა კარგები რამ უნდა იყვნენ, რაკი ნიკ. ავალიშვილი აძაგებს... სხვათა შორის ერთს ალავას სკობკაში ამბობს ავალიშვილი: „იმას ნულარ ვიტყვით, რომ უმეტესი ნაწილი, სამის თავს გარდასავლებისა“ სხვა მწერლებისაგანა გაქეთ აღებული.“

საქმე თქმა კი არ არის, რაც შემხედეს, ესთქვა: საქმე დამტკიცება. ბი მე რომ ვიცი, რომ თქვენი კალენდარი თავიდან ფეხამდინ მოპარულია, კიდევ უჩვენე მკითხველებს საიღამაც არის მოპარული. თქვენი რა საბუთი წარმოადგენთ თქვენი სიტყვების დასამტკიცებლათ? ან რომელი მწერლები წავიკითხავთ მეზღაბრებებსა, „კრესტოვი კალენდრისა“ და „კავკასიის კალენდარს“ გარდა? მითქო რამე მართლა წავიკითხოს და გავგოს რამეო, ისე არ ამბობს! სწორეთ, რომ სხვა თხზულებებიდამაც მქონდეს აღებული, თქვენ საიღამ, ან როგორ გეცოდინებთ. სამადლოთ თუ გეტყვის ვინმე—მაგისი არ ვიცი?...

შემდგომ ბრძანებს: „თოთაში“ კი სწერენ მოგახსენოთ, იმით გაგიმარჯვნათ, რომ თქვენ გმირებს სიტყვებს აგრეხინებთ და ბერესაც უადგილოთ ახმარებინებთ (მაშ, ძალიან კარგათ გაგიმარჯვნათ!) —სხვა კი იქ არა არის რა ჩვენის აზრითა. „(რა აზრის პატრონი ამბობს! სოფლის დარსებდამ რომ ავთამყოფებს ანგარიშობს: უნდა გაიგოს რამდენი ავთამყოფობა მომხდარა ყველა მომკედარის კაცის თავსა).“

ჩვენც მაგას ეჩივით, უფ. ავალიშვილო, რომ თქვენთვის ღმერთს არაფერი აზრი არ

არის სანატრელი ამ ჟურნალის მოსაზრება იმისთვის, რომ ის თქვენისთანა და ძერესელიძისთანა მწერლების ხელში აგდებს მკითხველებს უფრო ღრმად თავის შეცდომილებებში, უხდენს ზნებას და კაცობრივს თვისებასა. ართმევს სწავლაში ფულსა და ფულის სანაცვლოთ ასწავლის სიწამბდრესა, რა უნდა ისწავლოს მკითხველმა ინსინუატორებისგან?... ბევრი კიდევ სხვა რისთვისმეა სანატრელი ამ ჟურნალის მოსაზრება, მაგრამ იმაზედ კვლავ ვილაპარაკოთ, თუ შემთხვევა მოგვეცა... ბი რა მიზეზების გამო მსურს მე ამ ამბოჯრებულ ჟურნალის მოსაზრება, —ახლა შეგიძლიანთ უფრო ბევრითა იფიქროთ ამის შესახებ ჩემზედ რაცა გნებავდეთ და რაც წარმოსდგებოდეს თქვენი გონიერებისაგანა.

ამ სტატიაში, ავალიშვილი, დამცინის ქართულს ენაშია. რატომ ღმერთი არ გაიცინებს... ბი რა სიტყვებს დასცინის, რომ ქართული არ იცის. მე მქონია ნახმარები და ავალიშვილი დასცინის: ჰპოვის, უგვანი და სხ. განა მკითხველო, რომ ეს სიტყვები ქართულები არ არიან?... აბა, ჩემო ავალიშვილო, აქ გინდა გამოგჩინა შენი ცოდნა და აქაც კიდევ შენი უშვერების მეტი არა დამტკიცე რა. განა კი მართლა მე ქართულს ენაში შეცდომილებანი არა მაქვს, მაგრამ თქვენი გონებისათვის იმათი შენიშვნაც შეუძლებელი ყოფილა და დაწვეით იმ სიტყვებსა, რომელნიც ნანდელი და ძირის ძირსა ქართულნი არიან.

ამასთან უფ. ნიკოლოზ ავალიშვილი (გთხოვთ რომ იცნოდეთ: ამას ეს ძალიანა ჰსურს) ლაპარაკობს იმაზედა, რომ ჩემს სტატიებში არაფერი არა იყვეს რა კირგი. ბი გულდამწვარი პატარხალი, რომელსაც თავისი დედამთილი ყველაზედ დიდი ჰგონია და როდესაც სცემს მაშინ გულ-დამწვარს ეძახის: —შენ ძალიან დიდი რამა გგონია შენი თავი. —თუმცა დედამთილს ეს თავის დღეშიც არა ჰგონებია... ამაზედ მე არას მოვასხენებ უფ. ავალიშვილს, რათგან მე ზემოთ საკმაოთ დავამტკიცე, როგორც ეყურებათ საქმე მაგვარს ჰკუის კოლოფებსა. აქამდინ ჩემი სტატიების სიკეთეზედ დარწმუნებული არ ვიყავი კარგათა და ახლა კი დავრწმუნდი, რომ მართლა კარგები რამ უნდა იყვნენ, რაკი ნიკ. ავალიშვილი აძაგებს... სხვათა შორის ერთს ალავას სკობკაში ამბობს ავალიშვილი: „იმას ნულარ ვიტყვით, რომ უმეტესი ნაწილი, სამის თავს გარდასავლებისა“ სხვა მწერლებისაგანა გაქეთ აღებული.“

საქმე თქმა კი არ არის, რაც შემხედეს, ესთქვა: საქმე დამტკიცება. ბი მე რომ ვიცი, რომ თქვენი კალენდარი თავიდან ფეხამდინ მოპარულია, კიდევ უჩვენე მკითხველებს საიღამაც არის მოპარული. თქვენი რა საბუთი წარმოადგენთ თქვენი სიტყვების დასამტკიცებლათ? ან რომელი მწერლები წავიკითხავთ მეზღაბრებებსა, „კრესტოვი კალენდრისა“ და „კავკასიის კალენდარს“ გარდა? მითქო რამე მართლა წავიკითხოს და გავგოს რამეო, ისე არ ამბობს! სწორეთ, რომ სხვა თხზულებებიდამაც მქონდეს აღებული, თქვენ საიღამ, ან როგორ გეცოდინებთ. სამადლოთ თუ გეტყვის ვინმე—მაგისი არ ვიცი?...

შემდგომ ბრძანებს: „თოთაში“ კი სწერენ მოგახსენოთ, იმით გაგიმარჯვნათ, რომ თქვენ გმირებს სიტყვებს აგრეხინებთ და ბერესაც უადგილოთ ახმარებინებთ (მაშ, ძალიან კარგათ გაგიმარჯვნათ!) —სხვა კი იქ არა არის რა ჩვენის აზრითა. „(რა აზრის პატრონი ამბობს! სოფლის დარსებდამ რომ ავთამყოფებს ანგარიშობს: უნდა გაიგოს რამდენი ავთამყოფობა მომხდარა ყველა მომკედარის კაცის თავსა).“

ჩვენც მაგას ეჩივით, უფ. ავალიშვილო, რომ თქვენთვის ღმერთს არაფერი აზრი არ

მოუყვია, კერესელიძეობის მეტი რა აზრი უნდა ჰქონდეს იმ კაცსა, რომელიც მკითხველს საუკუნეში ორს სამს სასწავლებელში გაიზარდოს და ის არ იცოდეს, რამ სწავლის დასაბამიდან დახაცილების აღრიცხვა არ შეიძლება და რაც ხალხი იხილება, მართლაც იმეებით არ იხილებიან და იხილებიან ბევრი სხვა მიზეზებითაც... მხოლოდღოს დროში კაქაქებს ასწავლიან თითო ოროლა სიტყვებსა და ახსოვთ და კაცმა, თითო იმისთანა უბრალო საგანი არ იცოდეს, რომელიც ყველა რასაც ასწავლიან უბრალო წიგნის წამკითხველმა იცის და ასწავლიან, იმ კაცს აზრი რამე ექნება?

ამ სტატიაში ვითომც ხან და ხან ოხუჯობასაც წამოუყვებს ხოლმე, მაგრამ აქაც კიდევ ოხუჯობასაც თავის გოგრიდამ ვერ იღებს და ამამოიც ჰპარავს ილია შავგვადის სახელოვანს სხარტულას მასხარაებასა...

ბი ეს გახლავთ მთელი ავალიშვილის სტატია, რომლითაც ჩვენზედ გამოიწვება. სხვა აზრს, ცარიელი ლაპარაკისა და გლეხური პატარძლოური ოხუჯობის მეტს, ნურას ეძებთ აქა. დამტკიცება და საბუთები ხომ ავალიშვილის გონებისთვის ძალიან მიმე გახლავთ და ამისთვის უკაცრავათ არის ამავებელი.

რა გენაღვლებოდა, ჩემო ავალიშვილო, ავტანა ის ჩემი ორი გადაკირა და სხვა უფრო ბევრისთვის ზურგი არ მიგეშვირა ნაკარქეპის წაქეზებითა... მეორეც ესა, რა გემწერებოდა, რომ რიგიანათ ორი სიტყვა ერთმანეთზედ ვერ გადავიბამს. ჯერ პატარა ისწავლეთ რამე და მერე დაიწყეთ წერა, თუ აღარ დაგიშლიათ. თუ ჰკუის იმედი არა გაქეთ, მოთმინებას და მეცადინეობას ბევრი რამ შეუძლიან: შეიძლება მოთმინებითა და მეცადინეობით ამოვაყოთ ცოტაც არის ის გოგრის ცარიელი ადგილები, რომლისაც მოვგვალხენი ესლა ბრძანდებით. ეს არის ჩემი რჩევა და ამასთანავე სინილის ნუ დაიფიქვებთ; თქვენ არ იცით, მაგრამ ეს დიდი საქონელია, ვისაც კი ესმის.

ახლა კი მშვიდობით. ღმერთი გადღეგრძელებთ ნუ დაიშლით კიდევ გამოპასუხებასა. იქნება კარგათ ვერ გაიგეთ თქვენი თავის მდგომარეობა და თქვენი ნაჯღაბების ნაკლებულება, —შეიძლება ერთი ოროდღე დღე კიდევ შემოეწვიოთ თქვენს გონიერებასა. მე ეს დიდ მაღალთ მიმანჩნია, რომ კაცმა კაცს თავისი თავი ანცობოს.

17 ივლისს. ანტონ შურცელაძე.

ადმინისტრაციული ტელეგრაფი.

ელაღიპაპაზი 18 ივლისს. მისს იმპერატორების უმაღლესობას ძაქასიის ნამეტნის. ღღეს 26 ივლისს პეტროვსკის პორტა ბრწყინვალეთ აკურთხეს. ამ შემთხვევისა გამო რომ პეტროვსკელმა მოქალაქეებმა აღრესი მომართვეს, იმაში გამოაცხადეს თავიანთი სიხარული, რომელიც აღმართ იმათ გულში ეპკობისთვის ამისთანა კეთილ წარსამატებელი საქმის შესრულებისათვის. ამ აღრესში იმათ აგრევე გამოაცხადეს გულითადი მადლობა ხელმწიფე იმპერატორისადმი ყველა მოწყალებისათვის, რომელსაც მისი იმპერატორების ღიდებულება მუდამ ყველას გარდამოავლენს ხოლმე. პეტროვსკელნი მოქალაქენი აგრევე დიდი მადლობელნი არიან თქვენი იმპერატორების უმაღლესობისა პორტის გათავებისათვის და მოხუცეს, რომ იმათი მადლობა შევატყობინოთ თქვენს იმპერატორების უმაღლესობასა. მე, პეტროვსკელნი მოქალაქენი და ღღისტნის მრავალკერძოდან მოსულნი ესევით თქვენი იმპერატორების უმაღლესობის საღღებრძელოსა და ესთხოვთ ღმერთს ყველა საქმის წარმატებისათვის, რომელიც თქვენ დაიწყეთ.

სახელმწიფო ბანკის სამმართველოში,

23 ივნისს დაწესეს: ბანკის კანტორებმა და განყოფილებებმა, ვიდრე სხვა განკარგულება მოხდებოდეს, რომ სხვა და სხვა ბანკის ბილეთების დაგირავების დროს, უნდა დაუჭირონ, ანგარიშით, 9% (პროცენტი), ას მანეთში.

თფილისის განყოფილება სახელმწიფო ბანკისა უცხადებს პუბლიკას ამ შემოსენებულ სახელმწიფო ბანკის განკარგულებას, და აცნობებს, რომ ამის აღსრულება დაიწყო იმან 12 ივლისიდან.